XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

# უფრო მაღლა ასწიეთ შეჯიბრების დროშა, საქართველოს მეცხოველეებო!

რთველი — 80

## ზვრების ბარაქა

ყურძნის დამზადების 1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულების მიმდინარეობა (ტონობით).




მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების სამტრესტის 17 სექტემბრის ცნობა

| რაიონები | გეგმა-ვალდებულება | შესრულება |
|---|---|---|
| გურჯაანის | 150.000 | 44.660 |
| თელავის | 95.000 | 17.852 |
| ყვარლის | 80.000 | 19.730 |
| სიღნაღის | 65.000 | 21.659 |
| ახმეტის | 60.000 | 3.380 |
| წითელწყაროს | 50.000 | 23.463 |
| საგარეჯოს | 40.000 | — |
| ლაგოდეხის | 20.000 | 1.690 |
| მარნეულის | 25.000 | 5.893 |
| ბოლნისის | 15.500 | 4.672 |
| გარდაბნის | 12.000 | 753 |
| ზესტაფონის | 28.000 | 294 |
| თერჯოლის | 24.200 | 215 |
| მაიაკოვსკის | 20.000 | 36 |
| ვანის | 20.000 | 258 |
| მცხეთის | 15.000 | 40 |

კახეთის რაიონებში რთვლის დაწყებიდან მოკრეფილია 132.434 ტონა ყურძენი. ერთ დღეს — 16 სექტემბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 20.319 ტონა, წინა დღესთან შედარებით 1.511 ტონით მეტი.

რესპუბლიკაში 16 სექტემბრისათვის სულ მოკრეფილია 144.595 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.826 ტონით მეტი.

## თავი გამოიჩინეს დამამზადებლებმა

**წარმატებით** შეასრულეს ხუთწლიანი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა.

ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე გეგმით გათვალისწინებული 2869 ათასი ტონის ნაცვლად გამოშვებულია 3032 ათასი ტონა ფქვილი. გადაჭარბებით შესრულდა კომბინირებული საკვების წარმოების გეგმაც. დავალების გადამეტებით რეალიზებულია 73,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. 1134,1 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა 4 სექტემბრისათვის შესრულდა.

ხუთწლიანი პროგრამა შეასრულა ოცმა საწარმომ, მათგან ოთხმა — ქუთაისის პროდუქტების კომბინატმა, ცხაკაიას კომბინირებული საკვების ქარხანამ, მარნეულისა და ბათუმის პურის მიმღებმა საწარმოებმა ეს პროგრამა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის გაანაღდეს.

ეს წარმატება საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების უნარიანი ორგანიზაციის, მოწინავეთა მატერიალური და მორალური წახალისების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის შედეგია.

მეათე ხუთწლედის წლებში სისტემაში დიდი მუშაობა განხორციელდა წარმოების ეფექტიანობის გადიდების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საწარმოების კოლექტივებმა, რომლებიც ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით დაამზადონ 30 ათასი ტონა ფქვილი, ამდენივე კომბინირებული საკვები და გამოუშვან 12 მილიონი მანეთის ზეგეგმითი მთლიანი პროდუქცია.

(საქინფორმი).

## მლეთელ მეცხოველეებთან

**შრომის** დისციპლინის განმტკიცებამ და სხვა სათანადო ღონისძიებებმა საშუალება მისცა დუშეთის რაიონის მლეთის კოლმეურნეობას მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში საგრძნობლად გაეზარდა პროდუქტიულობა. მლეთელმა მეცხოველეებმა წარმატება და აღიარება მოიპოვეს — რძის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეათე ხუთწლედის გეგმა შეასრულეს და მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში უკვე ასობით ცენტნერი რძე მიიღეს.

მლეთის ფერმის მწველავებს შორის ახალგაზრდა კომუნისტი აზა ბურდული პირველობს. შარშან მან 122 ცენტნერი ზეგეგმითი რძე მოწველა, თითოეული ფურის წველადობა გაზარდა საშუალოდ 1850 კილოგრამამდე, მაშინ, როცა გეგმა 1.200 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ახალგაზრდებისათვის სამაგალითოა ვეტერანი მეცხოველე, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი კომუნისტი ნატო არგანაშვილი. შარშან მან გეგმის გადამეტებით მიიღო 95 ცენტნერი რძე, თითოეული ძროხის წველადობა გაზარდა საშუალოდ 1. 746 კილოგრამამდე. კომუნისტი მწველავები ა. ბურდული და ნ. არგანაშვილი წელსაც დიდი შრომითი შედეგებით გამოირჩევიან, მათ 7 თვის გეგმა შესაბამისად 163 და 134 პროცენტით შეასრულეს. მათთან ერთად ესევე სანაქებოდ ირჯებიან მწველავი ქალები ნ. ჯაღმაიძე, ს. არგანაშვილი, ნ. სუარიძე და სხვები. ფერმაში მაღალ დონეზეა ნამატის მიღება-შენარჩუნების საქმე. აღსანიშნავია ფერმის გამგის, გამოცდილი სამეურნეო მუშაკის ო. ნაზღაიძის ენთუზიაზმი და ერთგულება საზოგადოებრივი საქმისადმი.

მეცხოველეობის მოწინავე ბრიგადას ჯერ კიდევ გადასაჭრელი აქვს არსებითი პრობლემები, ერთ-ერთი მათგანია ფერმების მექანიზაცია. დღემდე არსებული საქონლის საზამთრო სადგომები პრიმიტიულია, სამუშაოთა ძირითადი ნაწილი ხელით სრულდება. აქ დიდ იმედს ამყარებენ დიდველში მშენებარე მეცხოველეობის კომპლექსზე, სადაც შრომა მექანიზებული იქნება.

ვ. ხახიაური.

(დასასრული).

ლი კილოგრამი საკვები, რათა უზრუნველვყოთ სულადობის არა მარტო შენარჩუნება, არამედ მატებაც, მისი პროდუქტიულობის ზრდა. ამასთან ერთად საჭიროა გაძლიერდეს ზრუნვა მეცხოველეებისათვის, ცხელი კერძებით მათი უზრუნველყოფისათვის, კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები საქმით უპასუხებენ პარტიის იმ საბრძოლო მოწოდებას, რომ განვაგრძოთ დამკვრელური ლენინური ვახტი, ახალი მაღალი შრომითი შედეგებით აღვნიშნოთ სკკპ XXVI ყრილობა, და სახავენ ახალ მაღალ მიჯნებს, კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს. ამ ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, თითოეული ბრიგადისა და ფერმის, სოფლის ყოველი მშრომელის ღირსების საქმეა.

დასასრულ, ამხ. ვლადიჩენკომ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ახალ დიდ წარმატებებს მოიპოვებენ სკკპ XXV ყრილობის მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში, ახალი შრო-

ტური შეჯიბრების დროს. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის მართვის რთულ პროცესში რიგით მშრომელთა მონაწილეობის ქმედითი დემოკრატიული ფორმა გახდა, ამჯერადაც შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქტიულობისა და სულადობის გადიდების, დარგის ბევრი ხარისხობრივი მაჩვენებლის მკვეთრი გაუმჯობესების მძლავრ სტიმულად იქცა.

კრებაზე ხშირად გაისმოდა სიტყვები: დიდიხნის ნანატრი ჯილდო. და ეს შემთხვევითი როდია. ალბათ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის არც ერთ სხვა დარგში არ გამოგვიჩენია იმდენი შეუპოვრობა, არ დაგვიხარჯავს იმდენი ძალ-ღონე, ისე არ გვიბრძოლია სუბიექტივიზმის დაძლევისათვის, როგორც მეცხოველეობაში. მისი განვითარების საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყოველ პლენუმს გაუანალიზებია. მაგრამ ამ მხრივ გარდატეხის პლენუმად სამართლიანად ითვლება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმი, რომელმაც ღრმა მეცნიერულ საფუძველზე ყოველმხრივ განიხილა დარგის საქმის ვითარება და წამოაყენა ლოზუნგი — გადავაქციოთ საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად. მეათე ხუთწლედის წლებში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლო უზ-

სულით, მათ შორის ძროხისა — 17 ათასით, ღორისა — 100 ათასით, ცხვრის და თხისა — 47,7 ათასით, ფრინველისა — მილიონ 240 ათასით. ერთ ძროხაზე საშუალო ნაწველი 227 კილოგრამით გადიდდა.

ამ ზრდის განმსაზღვრელ სხვა ფაქტორთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია საკვები ბაზის განმტკიცება. თუ მეცხრე ხუთწლედის ბოლო წლის გამოზამთრებისათვის მომარაგებული იყო 835 ათასი ტონა საკვები ერთეული, შარშან მომარაგებული იყო მილიონ 168 ათასი ტონა — 40 პროცენტით მეტი.

მიუხედავად ამისა, აღინიშნა კრებაზე, ჯერჯერობით ყველაფერი როდია გაკეთებული. მთელი რიგი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს მეცხოველეობა ჯერ კიდევ ჩამორჩება ბევრი მოკავშირე რესპუბლიკისას. მაგრამ ეს ნაკლოვანებები და პრობლემები კარგად არის ცნობილი და ხორციელდება ღონისძიებები მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის. რესპუბლიკის მეცხოველეთა უპირველესი და პერსპექტიული ამოცანები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმის დადგენილებაში, რომელმაც გასული წლის მაისში განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებები, რომელსაც უპა-

## კონსტანტინე ლორთქიფანიძე

# მთას დაუბრუნდა მთიელი

### ქართული სოფლის ეპოპეა

**უსაზღვრო** ცნობისმოყვარეობა, ცოდნის წადილი... და როცა ბრიგადაში სტუმრად შემოივლიდა ძველი, სახელგანთქმული მევენახე, მისი საქმე დაღუპული იყო. ათასი „როგორ“, ათასი „როდის“ და „რატომ“ ჰირის ოფლს აწურვინებდა სტუმარს. ერთხელ ჩაიგდეს ხელში ვენახის ჯადოქარი მიხეილ ნ-შვილი და საღამომდე შინ აღარ გაუშვეს.

— ცოლთან კინაღამ გამყარეს, პატივცემულო მწერალო! — შემომჩივლა მიხეილმა: — იმ დღეს ძლივს ავიშვი თავი, მანქანას დამპირდა მაგათი ბრიგადირი, — დედაკაცი ახტალაზე უნდა წამეყვანა. როგორც დავტოვე ჰიშკართან თავმორთული, იქვე არ დამხვდა ის დალოცვილი?! ლოყები მოხარშული კიბოსავით დასწითლებოდა! ცოტა მაინც გაწეულიყო გვერდზე, ჩრდილი მოენახა, ან სახლში შესულიყო!

გაჩუმდა, რაღაც არგასამხელ ფიქრს ოდნავ გაუღიმა, მერე თავი დაიქნია და სთქვა:

— ძალიან ახალგაზრდობა წამოვიდა ამ ბოლო დროს! მაგათზე ყველაფერი ალალია, გვაჯობეს · ამირანებს! შარშან რთველში ოთხი კაცის გეგმა შეასრულა თვითეულმა მათგანმა! ერთ კაცს დღეში სამასი კილოგრამი ყურძენი უნდა მოეკრიფა, ათას ორასი მოკრიფეს! მოდი და ახლა უბრალო გამარჯობა უთხარი ამ ბალღებს!

როგორ ამაღლებს ადამიანს შრომა და გარჯა! სამოცდაექვსი წლის კაცი, სახელოვანი მევენახე, უბრალო გამარჯობას ვეღარ ეუბნება ამ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გოგო-ბიჭებს.

არც წიგნის ცოდნაში ჩამორჩნენ.

ზოგი მათგანი უკვე სწავლობს დაუსწრებლად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ზოგიც გაისად ეპირება გამოცდების ჩაბარებას. ამ გოგონებმა უკვე იპოვნეს ცხოვრებაში თავისი ადგილი და მოწოდება. როგორ არა ჰგვანან ისინი სიცოცხლეგამწარებულ, წლიდან წლამდე ერთი ქულის მაძიებელ თანატოლებს.

**სესიაშვილი ბესიკი:** ჩვიდმეტი წლისა. კომკავშირელი.

იქნებ ვინმემ არც დამიჯეროს, რომ ეს ჯერ კიდევ უულვაშო ყმაწვილი ველისციხის კოლმეურნეობაში მევენახეთა რგოლს ხელმძღვანელობს, ოცდახუთი კომკავშირელი ჭაბუკისა და ქალიშვილის მუშაობას წარმართავს.

საიდან ამგვარი ნდობა და აღიარება!

ყოველმა დედამ ინატროს ასეთი გამრჯე შვილი. გამრჯე კი არა, რაღაც უფრო მეტი, — სიტყვა ვერ მიპოვნია... თიბვა იყო თუ სილოსის ჩადება, ვენახის ფურჩვნა თუ ხილის მოკრეფა, იგი ყველა უღელში საძირე ხარივით გამწევი და უღალატო იყო.

ბესიკი ჯერ კიდევ რიკ-ტაფელის ასაკისა იქნებოდა, როცა კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. მონდომებულმა მოსწავლემ იმდენი დრო და საათი კიდევ დაინარჩუნა, რომ მეექვსე კლასიდან მოკიდებული სკოლის დამთავრებამდე ყოველწლიურად 70 კაცდღე გამოიმუშავა.

ყველაზე მეტად ვაზი უყვარდა. შარშან მისმა რგოლმა რვა ჰექტარი ვენახი გაიპიროვნა. ჰექტარზე 98 ცენტნერი ყურძენი — ასეთი იყო სახელმწიფო გეგმა, მაგრამ გინახავს, მეგობარო, წისქვილის ბორბალზე დაცემული ღარის წყალი? ასე თავდაუზოგავად დაეშურნენ საქმეს ბესიკის სწორები და რთველმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თვითეულ ჰექტარზე 160 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს.

აგერ მისი კბილა ბიჭები, — კოჭლავაშვილი გია და სალომაშვილი ვალერი. ისინიც მეექვსე კლასში იყვნენ, როცა სოფელს მხარი გაუსწორეს, შარშან კი, სკოლა დაამთავრეს თუ არა, ერთი დღე არ გაუცდენიათ. საბოლოოდ დამკვიდრდნენ მევენახეთა ბრიგადაში, და თუ ლოცვას რაიმე ძალა გააჩნია, ამ ბიჭების მშობლებმა დიდხანს უნდა იცოცხლონ, — სოფელი ყოველდღე ილოცება, იხარა თქვენმა გამზრდელმაო.

ასეთი გულის ახალგაზრდებმა დიდი შემწეობა აღმოუჩინეს დაქცეულ ჰერემს და თუ ამჟამად გომბორის კალთებზე აკვანი ირწევა და ბუხრიდან კვამლი ამოდის, ერთი კარგი სამადლობელი გურჯაანის კომკავშირსაც უნდა ეთქვას.

უცნობი სოფლის ორღობეში რომ შედიხარ, დიდი ფასი ედება — ვინ გეტყვის და როგორ გეტყვის პირველ გამარჯობას, ვინ როგორ გაგიღებს ჰიშკარს.

გულიდან წამოსული სიტყვა შენც უცბად გაგითბობს გულს და ირგვლივ ყველაფერი უფრო ლამაზი მოგეჩვენება, ვიდრე შეიძლება სინამდვილეში იყოს... ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ მითხრა, უცხვირპირო კაცის გამარჯობამ, უჟმურად ნათქვამმა სიტყვამ ერთი სოფელი კინაღამ შემაძულაო.

დიდი მოგზაური და მოსიარულე არასდროს არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთი ბედი თავიდანვე დამყვა: სოფლის თავში ყოველთვის შემხვდებოდა ისეთი კაცი, თავის თავსაც და თავის სოფელსაც სამუდამოდ რომ შემაყვარებდა.

ილბალმა ამჯერადაც გამიჭრა. მადლიანი კაცი მოსე სამადაშვილი შემახვედრა, გამოცდილი პარტიული მუშაკი, განათლებული ისტორიკოსი, დარბაისელი, დინჯმოუბარი ადამიანი... პირველი ხელის ჩამორთმევიდან ამ წიგნის ბოლო სტრიქონამდე იგი მიკვლევდა გზას, მაცნობდა და მიახლოვებდა არა მარტო დღევანდელ სოფელს, ხშირად შორეულ წარსულშიც გადამახედებდა. მან ერთნაირად კარგად იცოდა ვაჩნაძიანთ ყველაწმინდის საყდრის სიდიადე და ვაზისუბნის კოლმეურნეობის ბაღ-ვენახების ძალა და ძარღვი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 208, 209, 210, 211, 213, 214.

პარტიის რაიკომის მეორე მდივანს ვინ მისცა იმდენი მოცალეობა, რომ მოულოდნელად ციდან ჩამოვარდნილ სტუმარს ხან ალაზნის პირებზე გაუძღვეს, ხან კიდევ ჰერემის პირველი მეკომურები მოახილვინოს. მაგრამ იგი დროს მაინც პოულობდა, დაუშურველად შემომწირავდა თავისი დასვენებისა და ძილის საათებს. ოღონდაც გურჯაანის სოფლებში სანახავი მენახა და გასაგონი გამეგონა. და როცა ბოდიშს მოვუხდიდი, „ჩემო მოსე, როგორ შეგაწუხე, რამსიშორეს წამოგიყვანე მეთქი“, — იგი მაშინვე უბის წიგნაკს ამოიღებდა და მეტყოდა:

— რას ამბობ, კაცო, აგერა მაქვს ჩანიშნული, დღეს მაინც აქეთკენ უნდა წამოვსულიყავ!

და მეც ვითომ დავუჯერებდი... რაიკომის მდივანს უბის წიგნაკს ხომ არ გავუსინჯავდი?!

ნელა მივყვებით ჰერემის აღმართს. შემოდგომა ილევა. წითლად-ყვითლად ღუიან გომბორის ტყიანი სერები. გახარებულა გზის პირებზე დარგული კაკლის ხეები.

ოთხი თვე გავიდა, ციდან ერთი ცვარი არ ჩამოვარდნილა, ამ ნარგავებს კი გვალვისა არაფერი ეტყობა. კაკლის ხეებს დღემდე უვლიან და პატრონობენ გურჯაანელი კომკავშირელები.

გზის გადაღმა, მაღლობზე, პატარა საყდარი მოსჩანს.

კაჭკაჭის საყდარი!

ერთხელ თურმე ჰერემელები ყანასა მკიდნენ. ქალი ყაურმას აკეთებდა ჩამონგრეული კედლის ძირში. ამ დროს გუმბათზე კაჭკაჭი შემოჯდა და ისეთი ჭახჭახი გააბა, ერთმა მუშამ ქვას წამოუსვა ხელი, ესროლა და ფრთა მოტეხა. დაშავებული ფრინველი მაინც არ მოეშვა საყდრის ეზოს, მისმა განგაშმა იქაურობა აიკლო. ბოლოს დაჰკრა ნისკარტი მოლზე მიმხმარ ნაკელს და ქვაბში ჩაუძახა.

— ღმერთო მომკალი, ეს რა მიქნა ამ საძაგელმა! — შეჰკივლა ქალმა და ქაფქირს დაავლო ხელი.

გული კინაღამ შეუღონდა. ქაფქირს ყაურმაში ჩახარშული გველი ამოჰყვა. ხალხმა დაუფასა სიკეთე ენაგატლეკილ ფრინველს და საყდარს მისი სახელი შეარქვა.

კარგად მოხრეშილ-მოპირკეთებული შარაგზა თანდათან მაღლა მიიწევს. მიკვირს, როდის მოასწრეს ელექტრონის ბოძების ჩაყრა, ტელეფონის ხაზის გაყვანა, ამოდენა ღვარსადენების მოწყობა! თუმცა რატომ უნდა მიკვირდეს! ჰერემის მომავალი მოსახლეები მზამზარეულზე მოსვლას როდი აპირებდნენ! გავარდა თუ არა პირველი ლაღუმი, ისინი მაშინვე წამოეშველნენ საგზაო ბრიგადებს: მათთან ერთად მუშაობდნენ ტრაქტორზე თუ ბარ-ნიჩაბზე და ახალ გზას ჰერემში შეუძღვნენ.

აგერ თხილის ხევი. ამ ხევში დაგუბდება ოთხი მილიონი კუბური მეტრი წყალი, გაჩნდება ვეება ტბა, მოაშენებენ თევზს, მორწყავენ ჰერემის მინდვრებს და კიდევ ვინ დასთვლის, რამდენ სიკეთეს მოუტანს გურჯაანელებს აქაური წმიდა სამება: წყალი, ტყე და ჰაერი.

— პირველი აკვანი თენგიზ ჯაჭვაძემ ამოიტანა ჰერემში, — მიამბობს მოსე სამადაშვილი და ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში შევყავარ: — ეს იყო 1978 წელს, მარტის დამდეგს, მერე ამოვიდა ვანო წიკლაური, ალექსი ჯაჭვაძე... არ შეუშინდნენ თოვლს, უგზოობას, უამინდობას, მოადგნენ ძმაკაცები ამ კარგად შენახულ ეკლესიას, გამალეს მაყრულად ლოგინები და... იმ ღამეს, რა თქმა უნდა, ვერ დაიძინეს! დიდმა სიხარულმა ბალიშზე თავი არ დაადებინა ამ გაწამებულ ხალხს!

გაიხსენე მკითხველო, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში სწორედ ამ კარგად შენახულ ეკლესიაში დაიდო ბინა აოხრებული ჰერემის პირველმა მოსახლემ გიგო აბესაძემ.

გამარჯვებიდან წამოსულ მთიელებს შოთა ეცადაშვილი და მოსე სამადაშვილი ამოჰყვნენ ჰერემში. სანამ ნასოფლარში შევიდოდნენ, ზოგიერთს უკვე დაეტყო მღელვარება. აგერ ერთმა მოხუცმა ნაბიჯი შეანელა ნაწისქვილართან, მეორემ ჩუმი ცრემლი დაავდო ახლად გაწმენდილ ნაკალოებზე. მაგრამ როცა სასაფლაოს მიუახლოვდნენ, თავი ველარ შეიკავეს, სტუმრებსაც აღარ მოერიდნენ, დაემხვნენ ჯაგებში ჩაკარგულ ლოდებს, საფლავის ბორცვებს და, როგორც სამადაშვილმა მითხრა, „ერთხელ ვნახე და მეორედ ღმერთმა ნუ მანახოს ასეთი გლოვა და ზარი! მერე კი წამოდგნენ და... ქალი და კაცი ველარ ვიცანი! რაღაც ისე მხნედ გამოიყურებოდნენ, თვალებიც ისე უბრწყინავდათ, თითქოს ყველა დარდი და სატირალი უკან მოიტოვესო...“

ოცდათერთმეტი ოჯახი შეიფარა ღვთისმშობლის ეკლესიამ. კოლმეურნეობის დამფუძნებელი პირველი კრებაც ამ ეკლესიაში გაიმართა შარშან, 31 მარტს. კრებას დაესწრო შოთა ეცადაშვილი, დაესწრნენ რაიკომის ბიუროს წევრები, და როგორც გადმომცეს, საუბრის დროს ზოგიერთები განზე იყურებოდნენ თურმე, თვალებზე მომდგარ ცრემლს უმალავდნენ ერთი-მეორეს, თუმცა ასეთი ცრემლი რა სასირცხვო და დასამალი იყო!

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ თენგიზ ჯაჭვაძე აირჩიეს და მეორე დღესვე მიწას გუთანი გაუკიდეს.

ახლად შექმნილ კოლმეურნეობას ბევრი შემწე და მფარველი გამოუჩნდა. სოფელმა ჩუმლაყმა და მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ორი მძლავრი ტრაქტორი და გუთნები აჩუქა ჰერემს. სოფელმა არაშენდამ — ფინური სახლი, სადაც კოლმეურნეობის გამგეობა მოთავსდა. „საქსოფლტექნიკის“ გურჯაანის გაერთიანებამ — ერთი სატვირთო მანქანა და ერთი ტრაქტორი კიდევ მიაშველა სოფელს.

კამეჩს წყალი და სითბო უყვარს. მთაში ამ ცხოველს არ დაედგომება. მაგრამ გომბორის კალთებს ერთი დიდი სიკეთეც გამოაჩნდა. აქაურმა ზამთარმა გაავება არ იცის, თანაც უხვად მოდის მარად მწვანე ბალახი შმოთი, — კამეჩის ფოჩიანი კამფეტი..

არც წყალი ექნება საძებარი.

ახლა მხოლოდ ერთი გაბედული ნაბიჯი იყო საჭირო; შოთა ეცადაშვილმა არ დააგვიანა ეს ნაბიჯი, — იმავე წელს აზერბაიჯანიდან შვიდასი სული ფურზაქი ჩამოიყვანა და ჰერემში მეკამეჩეობის ფერმა გამართა. გურჯაანელმა ახალგაზრდებმა აქაც ისახელეს თავი: მოასწრეს, დაზამთრებამდე ფურზაქის ჯოგს კარგად დათბილული ბაგაბოსლები აუშენეს.

ამ ფერმას ჯერ ისევ „ლელის“ სასუქი მეურნეობა პატრონობს, თუმცა ჯოგის ჩამოყვანის დღიდან მისი მწყემსები და მომვლელები ჰერმელი გლეხები არიან. მოღონიერდება, წელში გაიმართება ჰერემის კოლმეურნეობა, და ეს მომრავლებული ფურზაქი მისი სამუდამო კუთვნილება გახდება.

დაიწყო ცხოვრება.

შარშან გაზაფხულზე უკვე 72 კომლი დაუბრუნდა ჰერემს. მიაშურეს თავიანთ ნასახლარებს, ზოგან მიწური გამოთხარეს ნაქცევში, ზოგან სახელდახელოდ ფარდული შემოჭედეს, ზოგან კი ნახევრად ჩამონგრეულ კედლებს სახურავი დაადგეს, კარები შეაბეს და... კერაზე ცეცხლი დაანთეს.

მაგრამ ნამდვილად გული ამიჩვილდა, როცა გავიგე, თუ როგორ ძმურად წამოეშველნენ საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა კოლმეურნეობას გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. უფროსმა ძმებმა დაივალეს, რომ ისინი ჰერემში დაბრუნებულ მთიელებს ლამაზ სახლებს აუშენებდნენ.

აი, ერთი ადგილი ამ სახალხო სიყვარულის პოემიდან:

თენგიზ ჯაჭვაძეს სახლს უშენებს სოფელ ვეჯინის სანერგე მეურნეობა.

გიორგი ჯაჭვაძეს...... კოლაგის სანერგე მეურნეობა.

ზურაბ ჯაჭვაძეს...... ბაკურციხის მეურნეობა-ტექნიკუმი.

ნიკალა ჯაჭვაძეს...... მუკუზნის საბჭოთა მეურნეობა.

ავთანდილ ჯაჭვაძეს...... ველისციხის კოლმეურნეობა.

შაქრო ჯაჭვაძეს...... სოფლმშენის მეოთხე ტრესტი.

თედო ჯაჭვაძეს...... შრომის საბჭოთა მეურნეობა.

ალექსი ჯაჭვაძეს...... ჭანდრის კოლმეურნეობა.

ვანო ბურდულაძეს...... ჩუმლაყის კოლმეურნეობა.

არჩილ წიკლაურს...... ვაზისუბნის კოლმეურნეობა.

ალექსი ბარბაქაძეს...... კალაურის საბჭოთა მეურნეობა.

კარლო წიკლაურს...... გურჯაანის საბჭოთა მეურნეობა.

გიორგი გელაშვილს...... კარდანახის საბჭოთა მეურნეობა.

ელგუჯა მაისურაძეს...... სმუ-16.

მიხეილ ბარბაქაძეს...... კოლმშენი და ა. შ.

ეს პატარა ნაწყვეტი უფროსი ძმების სამადლობელიც იყოს და ერთგვარი შეხსენებაც: ჰერემში თოვლი ადრე მოდის და ისე არ დაგვემართოს, რომ ამ მრავალ ჭირნახად ადამიანებს სიცივემ ფარდულებსა და გომურებში მოუსწროს.

თონედან ცეცხლის ალი უკვე ამოვარდა.

ამუშავდნენ ჰერემისხევის წისქვილები, სასულე გაეხსნა მეწყერში დამარხულ წყაროებს. გაიღო შერეული მაღაზია, მალე დამთავრდება საშუალო სკოლის შენობა. ერთხელ, ამ სკოლის მომავალ დირექტორს ოთარ დათუნაშვილს რომ ვესაუბრებოდი, შაქრო ბარბაქაძემ გვერდზე გამიხმო და მითხრა, ამ საღამოს ჩემი მუზეუმიც უნდა გაჩვენოო...

მუზეუმი!

ქართულ სოფელს რა გამოულევს ჩვენი ერის წარსულზე შეყვარებულ ადამიანებს. სამოცდაათ წელს მიტანებული შაქრო ბარბაქაძე პირველ მოსახლეებს ამოჰყვა ჰერემში სამამულო ომის მონაწილე, ორჯერ იყო დაჭრილი სევასტოპოლში. ჯარისკაცის დაუდგრომელმა ბედმა სად არ ატარა ჰერემელი კაცი, იბრძოდა პარტიზანულ რაზმში, აქაც და იქაც პირი არ შეურცხვენია.

უყვარს ჰერემი, უყვარს მისი წარსული, დაეხეტება ძველისძველ ნასახლარებსა და პალატებში, და რასაც იპოვნის, — ქვევრის ნატეხს თუ ხატის ნაფლეთს, ყველაფერს თვითონვე დაათარიღებს, ლეგენდასაც თვითონვე გამოუგონებს და ბოლოს კედელზე ადგილსაც შეურჩევს.

მაშ როგორ იქნება, ასეთი წარსულის მქონე ჰერემს ერთი პატარა მუზეუმი არ ეკუთვნის?

სტუმრობაზე უარს როგორ ვეტყოდი. მივედი და რა ვნახე! — ერთი კაცის სიმაღლეზე გადახურული ქვა-ყორე, რაც გადაურჩა დაშლა-დანგრევას. ფარღალალა სადგომი ორად გაეყო ჩითის ფარდას; ერთ მხარეს საწოლი და პატარა მაგიდა იდგა, მეორე ნახევარი კი მთლიანად გამოფენას წაეღო... შუბის ნამტვრევები, ისრის პირები, ძველი ხმალი, სატევარი, კაჟიანი თოფის ჩახმახი, ჯვარი და ჩუქურთმის ნატეხი, ჩოხის შესაბნევი ხრიკები და ხის მათარა, მოხატული დოქები და სიძველისაგან გამოყვითლებული ფოტოსურათები.

ერთმა სურათმა თვალი მომტაცა.

— თქვენ იცნობთ ამ კაცს! — მითხრა მასპინძელმა და სურათი კედლიდან ჩამოხსნა: — ზემო-ქედის კომუნის წევრი იყო... თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენი „ახალი გლეხების“ წიგნში მისი გვარიც არის ნახსენები!

მხოლოდ ნახსენები.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი მისი ცოდვილი ცხოვრების ამბავი.



მევენახე გოგონა.

#### თავი მეხუთე

## გზა მტერი და გზა მოყვარე

ცოგი ცისკარიშვილი ოციან წლებში ჩამოსახლდა შირაქში, და მაშინვე სახელი დაიგდო, როგორც უბადლო მომკელმა. მუდამ მაოცებდა: სოფლის პირველი კომუნარი, კარგი შესახედავი ვაჟკაცი, ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი, — იგი მაინც კარჩაკეტილი ცხოვრობდა. ხატობა იყო თუ უბრალო ტაშფანდურა, მისი ლანდი ახლო არ გაეკარებოდა მხიარულებას. არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი, — მიკვირდა, შუახანს გადაცილებული კაცი ასე ძირამოგდებული როგორ დარჩა ქვეყანაზე.

მერე მეც წამოვედი შირაქიდან და მისი სახელი უკვე მიმავიწყდა, რომ შარშანწინ ჩვენი გზები ისევ შეიყარნენ თორღვაის აბანოსთან.

შარშანწინ, იგრიალა თუ არა მთათუშეთის კლდეებში პირველმა ლაღუმებმა, მაშინვე შირაქს მივაშურე, არსენა კობაიძეს კარზე მივადექი და სანამ სათხოვარს ვეტყოდი, თვითონვე დამასწრო და მითხრა:

— ვიცი, ვიცი, კონსტანტინე, მეც გავიგონე იმ ლაღუმების ხმა! წავიდეთ, ვნახოთ!

ენა ვერ იტყვის, როგორ მიყვარს არსენასთან მოგზაურობა და საუბარი. არა მარტო იორ-ალაზნის პირები და სამუხის გადამწვარი მინდვრები, — კობაიძემ მომატარა ჭარ-ბელაქანი და დაღესტნის სოფლები. ერთი უბის წიგნაკი აღარა მყოფნიდა, იმდენ არაკსა და თქმულებას მიამბობდა, რა ბალახბუჩქისა და ტყე-ჭალის ხალხურ სახელდებას არ გამაგონებდა!

არსენა კარგად იცნობდა ადამიანის გულს. ერთი-ორი სიტყვა და მისი დახატული კაცი ცოცხლად დამიდგებოდა თვალწინ. ძალიან მიხარია, რომ განგებამ თავისი მადლი არ დააკლო კობა ჩოხელის ნიჭიერ მემკვიდრეს და მისი საქმეები წალმა წაიყვანა.

ნაშუადღევს უკვე ნახიდურის წვერზე ვიყავით. გზატკეცილი — თორღვას აბანოდან ომალომდე... ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე...

საქართველოს [illegible] ყველგან ვყოფილვარ, მაგრამ [illegible] გასაჭრელი გზა არა მგონია კიდევ სადმე იყოს ჩვენი ქვეყნის მიწაწყალზე.

უგზოობამ თითქმის სამუდამოდ მოსწყვიტა მთათუშეთი ბარსა და ბარელებს. მხოლოდ საცალფეხო ბილიკს ჩამოჰყავდა თუში კაცი შირაქის ველზე და თუ დროულად არ მოილევდა აქაურ საქმეებს, მაშინ „ვერ ლავეს“ იმ წელიწადს, — შობა-აღდგომას თავის ოჯახში ვერ გაითენებდა.

თიბათვის დამლევიდან ღვინობისთვის დამდეგამდე, — წელიწადში სამი, — დიდი-დიდი ოთხი თვე კიდევ შეიძლებოდა იმ ბილიკზე ფორთხვა-სიარული. მერე კი თოვლი და ქარბუქი ყოველგვარი გზის სახსენებელს წაშლიდა ამა სოფლიდან.

ლაღუმი ლაღუმს მოსდევს. ვეება ნაპრალს ვეფარები და მოუთმენლად ვუცდი, როდის გაიფანტება აფეთქების მტვერი და კვამლი. უქარო დღეა, ხეზე ფოთოლიც არ ირხევა. ღრუბელივით ბოლქვა-ბოლქვად ავარდნილი ბუქი თითქოს უძრავად გახიდულა ცასა და მიწას შორის, და მხოლოდ მესმის, როგორ ცვივიან უჩინარ ხევში ნამსხვრევი ქვა-ლოდები.

ჰაერი თანდათან დაიწმინდა. დავტოვე ჩემი საფარი და... თვალებს არ დავუჯერე. საიდან გაჩნდა ამ მიუვალ მთებში ამდენი მანქანა-დანადგარი, ხელსაწყო-იარაღი! აგერ ნაპრალებში მიყუჟული მუშებიც გამოიშალნენ.

— ნუ გიკვირს, კონსტანტინე! — მეუბნება არსენა: — ეს ყველაფერი ციდან ჩამოუშვეს ვერტმფრენებმა! მანქანებიც და ხალხიც.

არსენა უშიშრად მიმიძღვება მრისხანედ გადმოკიდებულ ფრიალოებში, ცოტაც და, გზა უფრო გაგანიერდა, ყურთასმენა მიაქვს ჟვითმავალი ბურღის ზარ-ზრიალს. საგზაო მანქანები ხევისაკენ მიაქანებენ კლდის ნამსხვრევებს.

ლაღუმის გარეშე ერთი ნაბიჯი რაა, — იმ ერთ ნაბიჯსაც წინ ვერ გადადგამენ მშენებლები, პიტალო კლდეების ისეთი თვალშეუდგამი გალავანი აკრავს მთათუშეთს.

საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთო, ამ ბიჭებმა უნდა სთქვან, ამ გზის ღმერთებმა და ანგელოზებმა.

ამ ფიქრში ვიყავ, — გზისპირას დაყუდებულ ქოხიდან მთლად გათეთრებული მოხუცი გამოვიდა, თვალებზე ხელი მოიჩრდილა და ერთი-ორი წამი ჩუმად გვიცქირა. მერე ხელი ჩამოიღო და არსენას გამოსძახა:

— გამარჯობა კობაანთ ბიჭო!

— ცოგი?! — შეიკვირვა არსენამ: — გამარჯობა! საიდან სადაო, კაცო! — დინჯად გაუწოდა ხელი მისკენ წამოსულ ბერიკაცს, თუმცა ეტყობოდა, მისი დანახვა ძალიან გაუხარდა.

ცოგიმაც დინჯად ჩამოართვა ხელი, მერე ჩემსკენ მოიხედა, საყვედურის კილოთი მითხრა:

— მწერალმა ვერ მიცნო, თუმცა ახლა რაღაის, რა საცნობი მე ვარ!

— უცბად ვერ გიცანი, ჩემო ცოგი! მეც დავბერდი და...

კინაღამ ვუთხარი, ცოტა გამოვშტერდი მეთქი... ენას კბილი დროზე დავაჭირე, — არასათქმელი კინაღამ წამომცდა: — მარა შენი სახელი რომ გავიგონე, შენ კი არა, მთელი შირაქის კომუნა გამახსენდა!

პასუხად ბერიკაცმა რაღაც ჩაილაპარაკა: არ გაგვაგონა. უთუოდ არ იყო ჩვენი გასაგონი.

— აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო, კაცო, — ჰკითხა არსენამ.

— ვერა ხედავ, სად მიგვყავს თუშის გზა! — მიუგო ცოგიმ და ცისკენ შემართა ხელი.

გულზე მომხვდა მისი ნაღვლიანი ხმა. ცისკენ შემართულ ხელს უფრო ხალისიანი კილო შეეფერებოდა.

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ცოგი ცისკარიშვილი ამ გზაზე სამუშაოდ გამოვიდოდა, ეს კი აღარ მეგონა! — სთქვა არსენამ და ბერიკაცს კისერზე მკლავი მოხვია, თავი თავზე მიადო.

— ჩვენები ყველანი აქ არიან. მე აგე, ძალიან მოხუცებული ხარო და, ბარ-ნიჩბების საწყობი ჩამაბარეს. ანთაის ბულდოზერი დაჰყავს, ლეგოი კიდევ ლაღუმებზე მუშაობს!

— სასწაული მომხდარა, ალაზანი აღმა წასულა?!

— აღმა წავიდა, მაშ! — ისევ იმ გაუხარელი ხმით დაუდასტურა ცოგიმ.

დღემდე მახსოვს მისი თვალები. ძალიან მშვიდი, დამყოლი და თითქოს არხეინი თვალები. მაგრამ ეს არ იყო დალხინებული კაცის სიმშვიდე.

დიდმა დარდმა იცის კაცის ასეთი დანაცრება.

თანაც „აღმა წასულმა ალაზანმა“ გააძლიერა ჩემი ცნობისმოყვარეობა. დავემშვიდობეთ თუ არა ბარ-ნიჩბების ყარაულს, მერე არსენას სული არ მოვათქმევინე: — თუ ძმა ხარ, მითხარი, რატომ გაგიკვირდა, რომ ცოგი ცისკარიშვილი თუშის გზაზე მუშაობს?!

— ძველი ამბავია, თუმცა ნამდვილად სათქვენოა, ჩემო კონსტანტინე! — მაშინვე გამომიტყდა არსენა.

საჩემო. საეროც. საქვეყნოც!

აი, ეს ამბავი — როგორა ჰგავს იგი ჰერემში დატრიალებულ ცეცხლის კალოს..

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ტასსისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გადმოგვცემენ

**საერთაშორისო ცხოვრება**

# დედამიწის ზურგზე

## შეხვედრა ჰავანაში

[illegible]

მაც გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ აცნობა ფ. კასტროს, თუ როგორ ემზადებიან საბჭოთა კავშირში სკკპ [illegible] რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დაცვა და განმტკიცება, სახიფათო გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღების დარგში პრა- [illegible] პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი. ა. ა. გრომიკომ და ფ. კასტრომ წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

## ნ. ჩაუშესკუს გამოსვლა

**ბუქარესტი,** 17 სექტემბერი. სამაზრო სახალხო საბჭოების დეპუტატთა აქ გამართულ მეორე ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ, რომელმაც აღნიშნა, რომ რუმინეთი იწყებს ქვეყნის სოციალისტური განვითარების ახალ ეტაპს. იგი შეეხო რუმინეთის ეკონომიკაში ბოლო წლების მანძილზე მომხდარ ცვლილებებს, მის წარმატებებსა და გადასაჭრელ პრობლემებს, ამასთან თქვა, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ სახალხო საბჭოს საქმიანობა ეკონომიკის, მთელი ხალხის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს.

ჩვენ ფართოდ უნდა განვავითაროთ თანამშრომლობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში, ხანგრძლივ კოოპერირებაში. ამავე დროს საჭიროა გავაფართოოთ თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებთან, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან მათი სოციალური წყობის მიუხედავად.

ნ. ჩაუშესკუ შეეხო საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს და თქვა, რომ რუმინეთი კვლავაც მთელი სიმტკიცით დაუჭერს მხარს მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკას, ვინაიდან მხოლოდ ასე იქნება გარანტირებული ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებული მშენებლობა, მსოფლიოს ყველა ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა, ისევე როგორც სხვა ევროპული სახელმწიფოები, დიდად არის შეშფოთებული იმით, რომ გადაწყდა ევროპაში განალაგონ ახალი რაკეტები. ამიტომ, ჩვენი აზრით, ყოველი ღონე უნდავიხმაროთ ამ ნაბიჯის ასაცილებლად, და მთლიანად ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ შევუდგეთ მოლაპარაკებას.

ამ დღეებში მადრიდში დაიწყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა მოსამზადებელი შეხვედრა. ვიმედოვნებთ, რომ მივაღწევთ შესაბამის მორიგებებს შეხვედრის მომზადებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რათა ეს შეხვედრა დაიწყოს გათვალისწინებულ ვადაში და დაგვირგვინდეს მაქსიმალური შედეგებით დაძაბულობის შენელების პოლიტიკასა და ჰელსინკში ხელმოწერილი დოკუმენტების განხორციელებაში, უწინარეს ყოვლისა განიარაღებაზე, სამხედრო დაძაბულობის შენელებაზე გადასვლის საქმეში.

ყრილობის მონაწილეებმა მიღებულ მიმართვაში რუმინეთის ყველა მშრომელს მოუწოდეს იბრძოლონ მიმდინარე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და კომუნიზმისაკენ ქვეყნის წინსვლის შესახებ პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის.

## მოიწონეს მოლაპარაკების შედეგები

**ვარშავა.** აქ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც მოისმინეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მ. იაგელსკის ინფორმაცია მოსკოვში გამართული პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ. პოლონეთის მთავრობამ მოიწონა მოლაპარაკების შედეგები. როგორც სხდომაზე აღინიშნა, დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაუწია პოლონეთს, არსებითი მნიშვნელობა ექნება ქვეყანაში წარმოქმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების დაძლევისათვის.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება 1980-1981 წლებში ეკონომიკის დარგში დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

### პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

როგორც პოლონეთის პრესა იუწყება, სრულიად პოლონეთის ხალხის ერთიანობის ფრონტის კომიტეტის პრეზიდიუმის ვარშავაში გამართულ სხდომაზე გამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჰ. იაბლონსკი.

ხალხის ერთიანობის ფრონტის ყველა რგოლმა, თქვა მან, ყველაზე მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანად უნდა აღიაროს სტაბილიზაცია ეკონომიკასა და მთელ საზოგადოებაში, თითოეულ საწარმოში. სტაბილიზაცია, სიმშვიდე და წესრიგი იმის აუცილებელი პირობაა, რომ ავანაზღაუროთ ზარალი, გამოვავლინოთ არსებული რეზერვები, გასაქანი მივცეთ ინიციატივას, ვამრავლოთ შემოქმედებითი ძალები. სტაბილიზაცია, — აღნიშნა ჰ. იაბლონსკიმ, — ეს ამავე დროს დარღვეული საზოგადოებრივი კავშირ-ურთიერთობის აღდგენაა. ამასთან სტაბილიზაცია მოითხოვს მტკიცედ ვებრძოლოთ ყოველივე იმას, რაც მტრობს ხალხის ერთიანობას, რაც თესავს სიძულვილს, რაც მიზნად ისახავს შეასუსტოს სახელმწიფო წყობილება და ჩვენი კავშირები, რომლებიც პოლონეთის დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტიაა. ჩვენ ახლანდელი მდგომარეობის გამოყენების ამგვარი ცდების მოწმენიც ვართ, თუმცა ცხადია, რომ მათ საერთო არა აქვთ რა გაერთიანებული ძალებით ლიკვიდირებული სოციალური კონფლიქტის არსთან. თავი არც იმით უნდა დავიმშვიდოთ, რომ ამ ძალების საქმიანობის სფერო უმნიშვნელოა. ყოველივე, რაც მიმართულია სახელმწიფოსა და ხალხის, პოლონელების შემოქმედებითი ერთიანობის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნა ჰ. იაბლონსკიმ, დაუნდობლად უნდა უკუვაგდოთ.

დასასრულ მან განაცხადა: ხალხის ხელმძღვანელმა პარტიამ დაამტკიცა, რომ გულწრფელად აპირებს აშენოს სოციალიზმი პოლონეთში მუშათა კლასის ნებაზე დაყრდნობით. ჩვენი ვალია, ყველა პატრიოტის ვალია ხელი შევუწყოთ მის მეკავშირეობას, რათა შევძლოთ შევქმნათ კრიზისებისაგან და დამასუსტებელი კონფლიქტებისაგან თავისუფალი სამშობლოს მუდმივი განვითარების უტყუარი გარანტიები.

● ●

## დაძაბულობის შენელებისათვის

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

**ნიუ-იორკი.** 16 სექტემბერს აქ გაიხსნა ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXV სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ 150-ზე მეტი სახელმწიფოს დელეგაციები.

სესია შეაჯამებს მსოფლიოს გასული წლის პოლიტიკური განვითარების შედეგებს. მისი გადაწყვეტილებები აგრეთვე შეიტანს წვლილს საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, ხალხთა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცადინეობით სწორედ ასეთი პრობლემები დგას ასამბლეის დღის წესრიგის ცენტრში, რომელიც 125 საკითხს შეიცავს.

პირველ პლენარულ სხდომაზე, რომელიც გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ სალიმ ა. სალიმმა (ტანზანია), გახსნა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღეს ანგარიშით 154-ე სახელმწიფო-სენტ-ვინსენტ და გრენადინი—ბრიტანეთის ყოფილი კოლონია კარიბის ზღვაში. ამას წინათ, აგვისტოს დამლევს, გენერალური ასამბლეის აქ გამართულ სპეციალურ სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 153-ე წევრად ერთა გაერთიანების რიგებში მიიღეს აფრიკის ახალგაზრდა ზიმბაბვეს რესპუბლიკა.

*მოკლედ*

## ყოველი მხრიდან

*17 სექტემბერი*

● **ბუდაპეშტი.** მრეწველობის დეცენტრალიზაციის პროგრამის რეალიზაციის დროს უნგრეთის დედაქალაქის თითქმის 500 ქარხანა, საამქრო და სხვადასხვა საწარმო შეიცვლის მისამართს — გადავა უნგრეთის ბევრ ქალაქში.

● **ლონდონი.** სტატისტიკური მონაცემების მორიგმა ცნობამ, რომელიც აქ გამოქვეყნდა, დაადასტურა ბრიტანეთის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა. ამ მონაცემების თანახმად, სამრეწველო წარმოების მოცულობა ქვეყანაში ივლისის მანძილზე 1 პროცენტით შემცირდა. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მოცულობა ახლა 5,5 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ერთი წლის წინათ.

● **ქაბული.** ავღანეთის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყნის მშრომელთა უფასო სამედიცინო მომსახურების სისტემის განვითარებას. 40 საწოლიანი ახალი საავადმყოფო გაიხსნა ლაზნის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში.

● **ბრაზილია.** ბრაზილიაში თითქმის 17 მილიონი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა უცხოეთის კომპანიებსა და მოქალაქეებს ეკუთვნის, განაცხადა აქ ცნობილმა ბრაზილიელმა მეცნიერმა ფლავიო ელტცმა. მან თქვა, რომ ქვეყანაში საჭიროა აგრარული რეფორმის დაუყოვნებლივ განხორციელება.

## სენატორის განცხადება

**ვაშინგტონი,** 17 სექტემბერი. კონგრესის ოფიციალურ მოამბეში „კონგრეშნლ რეკორდში" გამოქვეყნებულ განცხადებაში თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე სენატორი ე. კენედი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „ხელიდან არ უნდა გაუშვას სსრ კავშირთან თანამშრომლობის განვითარების ხელშემწყობი შესაძლებლობები". საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, აღნიშნავს იგი, მუდამ განიცდის გარკვეულ ცვლილებებს, მაგრამ სახელმწიფოთა ურთიერთობის მიმართულებათა განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპები უცვლელი უნდა რჩებოდეს. კერძოდ, წერს სენატორი, უნდა „მოიძებნოს დაძაბულობის შემცირების გზები".

ამასთან დაკავშირებით ე. კენედი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები გადაწყდეს არა დიქტატისა და სამხედრო დარგში უპირატესობის მიღწევის მისწრაფების პოზიციებიდან, არამედ „ერთობლივი მშვიდობიანი მოლაპარაკების" გზით, მათ შორის ისეთ „აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის ევროპაში რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგება და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა". „მოლაპარაკება ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც მართლაც შეუძლია შეაჩეროს გამალებული ბირთვული შეიარაღება", — წერს სენატორი.

**ფოტოინფორმაცია**



საფრანგეთის პოლიცია ხელკეტებით გაუსწორდა გაფიცულ მეთევზეთა დემონსტრაციას. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა ტრანსპორტის სამინისტროს შენობასთან. აქ რამდენიმე კაცი დაიჭრა. პოლიციური რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მანიფესტანტებმა გააჩერეს ტრანსპორტის მოძრაობა პარიზის სენის მარჯვენა სანაპიროზე.

სურათზე: შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის.

იუპი-საქდესის ტელეფოტო.

## კ. ევრენის პრესკონფერენცია

**ანკარა,** 17 სექტემბერი, აქ გაიმართა სახელმწიფოს ახალი მეთაურის, თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის გენერალ კენან ევრენის პრესკონფერენცია, მან თქვა, რომ თურქეთის სამოქალაქო მთავრობა ამ კვირაში ჩამოყალიბდება. შეიმუშავებენ აგრეთვე ახალ კონსტიტუციას და დააფუძნებენ კონსტიტუციურ ასამბლეას.

კ. ევრენმა განაცხადა, რომ თურქეთი ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში დაიცავს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს.

თურქეთი, თქვა მან, მხარს დაუჭერს დაძაბულობის შენელების პროცესს, რომელიც უმთავრესად მიაჩნია ახლანდელ პირობებში. პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, აგრეთვე უშიშროების დარგში ყველა ორმხრივი მრავალმხრივი მორიგება, რომლებსაც თურქეთმა მოაწერა ხელი, ძალამოსილი რჩება. თურქეთი ინარჩუნებს ურთიერთობას ნატოსთან, აგრეთვე ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან. გაგრძელდება მეცადინეობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის.

ჩვენი გულწრფელი სურვილია აღნიშნა კ. ევრენმა, კვლავაც ვიქონიოთ კეთილი ურთიერთობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა ყველა ჩვენს მეზობელთან. ჩვენს მეზობლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა კავშირს, სახელმწიფოს, რომელიც საგანგებოდ აგებს პასუხს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება-დამკვიდრებისათვის.

კ. ევრენმა საჭიროდ ცნო თურქეთ-საბერძნეთის უთანხმოებათა სამართლიანი გადაწყვეტა ორმხრივი მოლაპარაკების გზით. მან გამოთქვა იმედი, რომ კვიპროსის პრობლემა გადაიჭრება ორი თემის ლიდერთა შორის მიღწეულ შეთანხმებათა ფარგლებში.

**ნიუ-იორკი,** ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს სამხედრო ხელისუფალთა ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს და ანკარიდან იუწყება: თუმცა მათ იმედი აქვთ, რომ უახლოეს ხანს შექმნიან ახალ სამოქალაქო კაბინეტს, ამასთანავე აცხადებენ, ქვეყანაში სამოქალაქო მართვა-გამგეობის სრული აღდგენისათვის წელიწადზე მეტი დრო იქნება საჭირო.

იგივე წყაროებიდან მიღებული ცნობებით, აღნიშნავს სააგენტო, ეროვნული უშიშროების საბჭო სექტემბრის დამლევისათვის შექმნის სპეციალურ სამხედრო ტრიბუნალებს, რომლებიც გაასამართლებენ გადატრიალების მომენტიდან დაპატიმრებულ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და ტერორისტებს.

## მემარჯვენე ლიდერების ერთგულქვეშევრდომობა

**ვაშინგტონი,** ამერიკის პროფკავშირული გაერთიანების — ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მემარჯვენე ლიდერებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთი ერთგულქვეშევრდომობა ბურჟუაზიული ოპერატიული სისტემისადმი. საარჩევნო მიმართვაში მათ პროფკავშირთა წევრებს მოუწოდეს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ დემოკრატიული პარტიის კანდიდატს ჯ. კარტერს.

არჩევნებში თეთრი სახლის ახლანდელი პატრონისადმი მხარდაჭერის გადაწყვეტილება პროფკავშირულმა ბოსებმა მიიღეს, თუმცა სწორედ კარტერის ადმინისტრაციის დროს გაიზარდა უმუშევართა არმია 8 მილიონამდე, ინფლაციის დონე კი სამჯერ ამაღლდა. ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის რეაქციულმა ზედაფენამ ადმინისტრაციას ყოველივე ეს იმიტომ „შეუნდო", რომ მას ყველაზე უფრო აშინებს მშრომელთა დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედება, რომელთა ინტერესებს იგი ღალატობს.

მემარჯვენე პროფლიდერები დიდი ხანია შეურიგდნენ რეპრესიულ ანტიმუშურ კანონმდებლობას — ტაფტ-ჰარტლის, ლენდრამ-გრიფინისა და სხვა კანონებს, რომლებიც ზღუდავს პროფკავშირულ ორგანიზაციათა უფლებებს.

ლ. კერკლენდი, რომელმაც ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ახლანდელი თავმჯდომარის პოსტი მას შემდეგ დაიკავა, რაც გადადგა ჯ. მინი, რომელიც იკვეხნიდა, „პიკეტებში არასოდეს არ ვმდგარვარო", ეგრეთწოდებული „ეროვნული შეთანხმების" ერთ-ერთი თავგამოდებული ქომაგი გახდა და განაგრძობს ყბადაღებული „კლასობრივი ზავის" პოლიტიკას. მთავრობასთან პროფკავშირული ბოსების ამ პირის შეკვრით ამერიკელ მშრომელებს თავს მოახვიეს მათი ხელფასის „შეკავება" სიძვირის განუწყვეტელი ზრდის პირობებში.

მაშინ როცა ცხოვრების დონის დაქვეითებით უკმაყოფილო მუშათა მასები სულ უფრო იღაზმებიან თავიანთი ინტერესების დასაცავად, ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მოღვაწე შეთანხმებელნი ცდილობენ შეაჩერონ პროფკავშირების რიგების ზრდა.

## ირანის პარლამენტის გადაწყვეტილება

**პარიზი,** 17 სექტემბერი. ირანის პარლამენტმა ხმების უმრავლესობით დაადგინა შექმნას სპეციალური კომისია იმ 52 ამერიკელი მოქალაქის ბედის საკითხის განსახილველად, რომლებიც ირანში დაკავებული არიან გასული წლის 4 ნოემბრის შემდეგ. თავის დროზე მათ წაუყენეს ჯაშუშობის ბრალდება. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, გადაწყდა ამ კომისიის მუშაობის შედეგები, მომავალში განიხილონ პარლამენტის ღია სხდომაზე.

**ოტავა,** ირანის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ყოთბზადე სამი თვის განმავლობაში საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან ჯაშუშობაში დადანაშაულებელ ამერიკის თეირანის საელჩოს თანამშრომელთა განთავისუფლების შესახებ, ამას იუწყება კანადის გაზეთი „პრესი".

გაზეთი აღნიშნავს, რომ საიდუმლო მოლაპარაკება დაიწყო ივნისში და მიმდინარეობდა „ევროპის არხებით". მას წინ უძღოდა ევროპელ „შუამავალთა" მიერ მომზადებული მემორანდუმი, რომელშიც ლაპარაკი იყო პრეზიდენტ კარტერისათვის მისაღებ პირობებზე.

### ცხოვრება ძვირდება

**რომი.** სპეციალიზებულმა ორგანიზაციამ — მომხმარებელთა ეროვნულმა კავშირმა გამოაქვეყნა შემაშფოთებელი მონაცემები იტალიაში ფასების სწრაფი ზრდის შესახებ. წლის განმავლობაში ელექტროენერგიის ფასი ქვეყანაში, ამ ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, გაიზარდა 57,8 პროცენტით, ბენზინისა — 50 პროცენტით, საყოფაცხოვრებო გაზისა — 46,6 პროცენტით. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბევრი სასურსათო პროდუქტის ღირებულება.

**ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები**

## ტრადიციის ერთგულება

**თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრმა ახალი თეატრალური სეზონი გახსნა ვარფოლომეევის პიესით „წმინდანი და ცოდვილი". „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჟორდანიამ თქვა:**

— გასულ სეზონში მრავალფეროვანი რეპერტუარით წარდგა ჩვენი თეატრი მაყურებელთა წინაშე.

სეზონი, ჩვენი აზრით, დაძაბული და საინტერესო იყო. კმაყოფილი ვართ გასტროლებითაც, რომელიც ერევანში გვქონდა. ჩვენი წარმოდგენები მოეწონათ ერევნელებს. გასტროლებს მოძმე სომხეთის პრესაც სათანადოდ გამოეხმაურა, არაერთი დადებითი რეცენზია მოგვიძღვნეს.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრი — ТЕАТР ИМЕНИ А. С. ГРИБОЕДОВА

ახალ სეზონში თეატრი კვლავ განაგრძობს აღებულ კურსს, რაც იმით გამოიხატება, რომ მაყურებელს წარმოვუდგინოთ მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღბეჭდილი სპექტაკლები, თანამედროვე გმირის ბრძოლითა და ძიებებით აღსავსე სახე.

რეპერტუარში გვექნება როგორც ძველი დადგმები, ისე ახალი ნამუშევრები: ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი"? [illegible] „პოლუსი", ა. კაზანცევის „ძველი სახლი", ა. არბუზოვის „ძველმოდური კომედია", იბსენის „მოჩვენებანი", ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი" და სხვები.

ახალი სეზონი ემთხვევა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს — სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, რესპუბლიკის მე-60 წლისთავს. ამიტომ თეატრი ცდილობს პირნათელი შეხვდეს ამ თარიღებს: ა. „კაზანცევის" „ძველი სახლი" ყრილობას მივუძღვენით, ხოლო ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი"— რესპუბლიკის იუბილეს.

ვფიქრობთ, თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონშიც თავისი მდიდარი ტრადიციების ერთგული დარჩება.

## პოლონური წიგნის დეკადა თბილისში

**წიგნის** მაღაზია „მეგობრობაში" გაიხსნა პოლონური წიგნის დეკადა. დეკადის გახსნას ესწრებოდნენ პოლონეთის საგარეო ვაჭრობის ფირმის „არს-პოლონას" წარმომადგენლები იანუშ მარუშევსკი, ზოფია ლევანდოვსკა და ტერეზა მიცკევიჩი.

— პოლონური წიგნის დეკადა თვალსაჩინო მოვლენაა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში, — თქვა „საქწიგნის" მმართველმა შ. ნემსაძემ, რომელმაც გახსნა გამოფენა-ვაჭრობა. — ეს პოლონურ წიგნთან პირველი შეხვედრა როდია — ჩვენში მრავალჯერ მოწყობილა დიდი წარმატებით პოლონური წიგნის დეკადები.

ქართველ მკითხველს უყვარს პოლონური ლიტერატურა. ჩვენში დიდი ტირაჟით გამოდის ადამ მიცკევიჩის, ბოლესლავ პრუსის, თანამედროვე მწერლების ზოფია პოსმიშის, კონსტანტინე გალჩინსკის, თადეუშ რუჟევიჩისა და სხვა ლიტერატორების წიგნები.

დამსწრეთ დეკადის გახსნა მიულოცეს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. ნონეშვილმა, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ს. რავიჩმა, რესპუბლიკის წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. ნადარეიშვილმა, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტმა დ. გაბუნიამ.

გამოფენის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა იან ბრაუნმა. მან აღნიშნა, რომ სულ უფრო მტკიცდება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს კულტურული და ლიტერატურული კონტაქტები. ი. ბრაუნმა, კერძოდ, თქვა, რომ ცნობილ პოლონელ პოეტ იუი ზაგურსკისთან ერთად რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" პოლონურ ენაზე თარგმნა შემოქმედებითს ბედნიერებად მიაჩნია.

ფირმის „არს პოლონას" წიგნის ბიუროს დირექტორმა იანუშ მარუშევსკიმ გულთბილი მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გამოფენის ჩინებული ორგანიზაციისათვის. (საქინფორმი).

## ფრე სალონიკში

[illegible]

FIDE — GENS UNA SUMUS

### პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებში

## ექს-ჩემპიონის უპირატესობით

დღეს უნდა დამთავრდეს იოსელიან-გაფრინდაშვილის მეშვიდე პარტია, რომლის დიაგრამასაც ახლა გთავაზობთ.



. ამ პოზიციაში, ცხადია, სვლა თეთრებმა ჩაიწერეს — მათ მეფეს ხომ ქიში აქვს გამოცხადებული. გაფრინდაშვილის უპირატესობა აშკარაა. იგი გამოიხატება არა მარტო იმით, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონს ორი მსუბუქი ფიგურა აქვს ეტლის სანაცვლოდ, არამედ ძალების ხელსაყრელი განლაგებითაც. ერთი სიტყვით, იოსელიანის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა.

✦✦

**გუშინ** უნდა გამორთულიყო გაფრინდაშვილ-იოსელიანის ნახევარფინალური მატჩის მერვე პარტია, მაგრამ ნ. იოსელიანმა მეორე ტაიმ-აუტი აიღო.

გადატანილია ალექსანდრია-ლიტინსკაიას მეექვსე პარტიაც. ვილნიუსში ტაიმ-აუტი გამოიყენა ნანა ალექსანდრიამ.

### ჩიგორინის მემორიალზე

**სოჭში.** ჩიგორინის მემორიალზე ნათამაშევია 9 ტური. ახლა 6,5-6,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ საერთაშორისო ოსტატი პანჩენკო (საბჭოთა კავშირი) და ევროპის ყოფილი ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ვან დერ ვილი (ჰოლანდია). 6 ქულა აქვს დიდოსტატ ვაჰანიანს (საბჭოთა კავშირი), 5,5 — დიდოსტატ ტორეს (ფილიპინები), 5 — დიდოსტატ ბალაშოვს, 4,5-4,5 ქულა — დიდოსტატ ივკოვსა (იუგოსლავია) და საერთაშორისო ოსტატ არნასონს (ისლანდია).

ასპარეზობის დამთავრებამდე 6 ტური რჩება.

## მწვრთნელის მაღალი წოდება

**XXII ოლიმპიური** ასპარეზობის ჩემპიონთა მომზადებისათვის, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების მომზადებაში დიდი წვლილისათვის, სპორტსმენთა მომზადებაში წვრთნის ახლებური მეთოდების დანერგვისათვის საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა კიდევ 12 მწვრთნელს. მათ შორის არის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ოთარ ბიძინას ძე ნათელაშვილი (თბილისი, შეიარაღებული ძალები, ძიუდო).

## მოკლედ

**ჭადრაკი.** სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გუნდურ საჭადრაკო ჩემპიონატში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს ორი ლიდერია. ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში არიან ლენინგრადისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქების ნაკრები გუნდები. მათ აქვთ 21,5-21,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია.

ტურნირში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა 18 წლის ნინო მელაშვილმა (ნორჩ მოჭადრაკეს ერთი პარტია გადადებული აქვს).

**მძლეოსნობა** პრაღაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრში გაზეთ „რუდე პრავოს" პრიზზე 2.850 მეტრ დისტანციაზე გაიმარჯვა მოსკოველმა ელენე სიპატოვამ (8 წუთი და 38 წამი) 11.400 მეტრ დისტანციაზე ვაჟთა შორის გაიმარჯვა ჩეხმა სპორტსმენმა ივან უვიზლმა (33.29,8).

**ჩოგბურთი.** მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა, 20 წლის ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა ივან ლენდლმა მოიგო ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში გამართული დიდი საერთაშორისო ტურნირი. ფინალურ მატჩში მან დაამარცხა ამერიკელი ჩოგბურთელი ჯინი მაიერი — 6:3, 7:5.

**ველორბოლა.** „ტურ დე ლავენირის" მეშვიდე ეტაპი მოიგო კოლუმბიელმა სპორტსმენმა ხოსე ხიმენესმა. ლიდერის მაისური კვლავ მის თანამემამულეს ალფონსო ფლორესს აცვია.

## ო. ტ. ნაკანი



[illegible]

ხოლო 1944 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ზოოტექნიკის ფაკულტეტი.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს სპეციალობის მიხედვით ჯერ მესტიის ზოოვეტუბნის გამგის თანამდებობაზე, შემდეგ კი მესტიის რაიონის მთავარ ზოოტექნიკოსად. 1947 წელს აირჩიეს საქართველოს ალკკ მესტიის რაიკომის პირველ მდივნად, 1952 წლიდან ისევ მუშაობს სპეციალობის მიხედვით. 1963 წელს არჩეულ იქნა საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის მეორე მდივნად, სადაც მუშაობდა 1975 წლამდე. შემდეგ გარდაცვალებამდე სპეციალობის მიხედვით მუშაობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქცხოველმრეწვში" უფროსი ზოოტექნიკოსის თანამდებობაზე.

ო. ტ. ნაკანი იყო შრომისმოყვარე, ინიციატივიანი მუშაკი. პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს მისი შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მრავალი მედლით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდება, რამდენჯერმე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომისა და ბიუროს წევრად, მესტიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს დეპუტატად.

ო. ტ. ნაკანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კომკავშირის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი.**

რედაქტორი
**გ. ბედინეიშვილი.**

**ტელევიზია**

*18 სექტემბერი*

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 17.00 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (ფ.), 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.30 — ფოლკლორული საღამო კასპში, 19.05 — „უკრავს მარინე იაშვილი" (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.30 — „ბუნების კარი" (ფ.), 21.15 — „იგი გულით მღეროდა" — გადაცემა ეძღვნება ჯო დასენის ხსოვნას (ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.30 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე: — ლუქსემბურგის „ჟენეს-ეში" — „მოსკოვის „სპარტაკი", 22.40 — დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა და კონცერტი — ეძღვნება შუა საუკუნეების აღმოსავლეთის დიდი მეცნიერ-ენციკლოპედისტ იბნ სინას (ავიცენა) დაბადების მე-1000 წლისთავს. გადაცემა კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზიდან. შესვენების დროს — ახალი ამბები (ფ.).

**მეორე პროგრამით:** 17.05 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 17.35 — მოსწავლეთათვის — „გილოცავთ" (განმეორებით), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ავტომობილი, ვიოლინო და ძაღლი კლიაქსა" (ფ.).


**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

**20 და 21 სექტემბერს**

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობაზე

**თბილისის „დინამო" — ლვოვის „კარპატი"**

**20 სექტემბერს — სათადარიგო შემადგენლობა**

დასაწყისი 18 საათზე.

**21 სექტემბერს — ძირითადი შემადგენლობა**

დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებისათვის ბილეთები გაიყიდება 18 და 19 სექტემბერს დილის 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა — 21 სექტემბერს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.


**საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 75 წლისა გარდაიცვალა კომიტეტის თანამშრომელი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი, 1944 წლიდან სკკპ წევრი**

**გიორგი კიმოთეს ძე კოლუაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**


КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02399 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.